




აწსუ  
მედიცინის ფაკულტეტის  
საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 40  
თარიღი 26. 12. 2017



ქუთაისი

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების პროფილი**

აწუ მედიცინის ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები სრულად შეესაბამება ევროპულ საგანმანათლებლო მიდგომებს, 2014 წლიდან მედიცინის ფაკულტეტი გახდა ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის - AMEE-ს წევრი, ხოლო 2015 წელს მოხდა მისი განთავსება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის - WHO, მსოფლიო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ფედერაციის - WFME და საერთაშორისო სამედიცინო განათლების კატალოგის-IMED, უმაღლესი სამედიცინო სკოლების ვებ-რესურსებზე, რაც ცხადყოფს ჩვენს სწრაფვას ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულუფლებიანი წევრობისაკენ.

გლობალიზაცია უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში ახალ გამოწვევებს უსახავს მედიცინის ფაკულტეტს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების შესაძლებლობის სახით. ფაკულტეტის განვითარების გეგმა გულისხმობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდას, საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებას და საკუთარი სტუდენტების სწავლებას უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლებას სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვის გზით, უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია კი განიხილება, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტური საშუალება.

**მოკლე სიტუაციური აღწერა**

აწუ მედიცინის ფაკულტეტი გამორჩეულია უმაღლესი სამედიცინო განათლების მრავალფეროვანი აკადემიური პროგრამებით, ერთობლივი პროგრამების იმპლემენტაციითა და ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით. ფაკულტეტი ახორციელებს სამედიცინო განათლების ოთხ ერთსაფეხურიან, ორ საბაკალავრო, სამ სამაგისტრო და ერთ სადოქტორო პროგრამას:

- სამკურნალო საქმის ერთსაფეხურიანი (360 კრედიტი) ქართული და ინგლისურენოვანი პროგრამები
  - „სამკურნალო საქმე“
  - „მედიცინა + PBL“
  - “MEDICINE”
- სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა (300 კრედიტი)
  - „სტომატოლოგია“
- საბაკალავრო პროგრამები (240 კრედიტი)
  - „ფარმაცია“

- „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“
- სამაგისტრო პროგრამები (120 კრედიტი)
  - „ფარმაცია“
  - საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
  - ბიოსამედიცინო ინჟინერია (ერთობლივი აწსუ-თსსუ-სტუ)
- სადოქტორო პროგრამა (180 კრედიტი)
  - „ფარმაცია“

აღნიშნულთაგან, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ და ერთსაფეხურიანი პროგრამა „მედიცინა + PBL“ შექმნილია უნივერსიტეტის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ევროკავშირის დაფინანსებით TEMPUS საგრანტო პროექტის ფარგლებში და 2015 წლიდან უკვე წარმატებით ხორციელდება.

### სიტუაციური ანალიზი (SWOT)

#### **ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები**

- 1.1. ბაზარზე მოთხოვნადი უმაღლესი სამედიცინო განათლების საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების ყველა საფეხურზე;
- 1.2. ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული კურიკულუმის შემუშავება და იმპლიმენტაცია, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმატებული და კონკურენტუნარიანი, მულტი-პროფესიულ გარემოში პაციენტზე ორიენტირებული კომპეტენციების მქონე დიპლომირებული მედიკოსის მომზადებას;
- 1.3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის აქტიურად დანერგვა;
- 1.4. მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- 1.5. მზარდი ავტორიტეტი, შესაბამისად ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის დინამიკა;
- 1.6. მედიცინის სფეროში ახალი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან წვდომა;
- 1.7. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური კომპონენტების განხორციელებისათვის რელევანტური გარემოს უზრუნველყოფა;
- 1.8. რეგიონული კლინიკური ბაზების ხელმძღვანელებთან ფაკულტეტის ადმინისტრაციის კონსტრუქციული და უწყვეტი კავშირები, საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზების შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენება;
- 1.9. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
- 1.10. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის თანამედროვედ აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა- ახალი სასწავლო კორპუსის (XI კორპუსი) გადაცემა ფაკულტეტისათვის.

## სუსტი მხარეები / გამოწვევები

- 2.1. არასრულყოფილად აღჭურვილი კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი;
- 2.2. საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი;
- 2.3. სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების სიმწირე;
- 2.4. აკადემიური პერსონალის „დაბერების“ პროცესი;
- 2.5. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის დაბალი მაჩვენებელი;
- 2.6. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;
- 2.7. ინგლისურენოვანი სწავლების დეპარტამენტის არარსებობა;
- 2.8. ფარმაციისა და სტომატოლოგიის საერთო დეპარტამენტის არსებობა;
- 2.9. სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტების მცირე რაოდენობა
- 2.10. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საშუალოზე დაბალი შედეგების მქონე კონტიგენტის ჩარიცხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე
- 2.11. აკადემიური პერსონალის ნაკლები გამოცდილება სხვა ნაციონალური სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტების პერსონალთან შედარებით;
- 2.12. ინგლისურ ენაზე უახლესი თანამედროვე ლიტერატურის და სახელმძღვანელოების შეზღუდული რაოდენობა;
- 2.13. სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შედარებით ხანმოკლე გამოცდილება, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შედარებით.

## შესაძლებლობები (“O”-Opportunities) :

- 3.1. აწსუ XI კორპუსის შემდგომი გაფართოება-რეაბილიტაციის პროცესის გაგრძელება;
- 3.2. აწსუ XI კორპუსში ბიბლიოთეკისა და სამკითხველო დარბაზის მოწყობა
- 3.3. თანამედროვე ლიტერატურის / სახელმძღვანელოების შექმნა საკმარისი რაოდენობით;
- 3.4. ტრენინგ-პროგრამების რეალიზაცია აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების უნარ-ჩვევების განვითარებისათვის სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით.

## რისკები (“T” – Threats) :

- 4.1. მაღალი კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე;
- 4.2. შესაბამისად, კონკურენტების მხრიდან უკეთესი სასწავლო პროგრამის და პირობების შეთავაზება;

4.3. საქართველოში პოსტდიპლომური განათლების სარეზიდენტო პროგრამებზე ჩასარიცხთა შეზღუდული რაოდენობა, რაც ხელს შეუშლის აბიტურიენტებში პროფესიის პოპულარიზაციას.

## 5. არსებული და პოტენციური პარტნიორები

მედიცინის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს დასავლეთ საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებებთან:

- დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი
- სამედიცინო კორპორაცია „EVEX“ ტრენინგ ცენტრი
- იმერეთის რეგიონული კლინიკური საავადმყოფო
- წმ. ნიკოლოზის ქირურგიული ცენტრი
- შპს კლინიკა „ბომონდი“
- შპს ლერი ხონელიძის სამშობიარო სახლი
- №3 სამშობიარო სახლი
- შპს „XXI საუკუნე“
- შპს „რეგიონალური სისხლის ბანკი“
- შპს ცაგარეიშვილის სამედიცინო ცენტრი
- „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის სოციალური ცენტრი“
- შპს აკად. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
- შპს ლ & ჯ
- შპს კლინიკა ლ & ჯ და კომპანია
- შპს სტომატოლოგიური პოლიკლინიკა „დენტიმერი“
- შპს „რეგიონული სტომატოლოგიური ცენტრი“
- სტომატოლოგიური კლინიკა “პრიმადენტი“
- ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა
- სამედიცინო სამკურნალო ცენტრი „გერგილ +“
- შპს „ქუთაისის ნაზარიშვილის სახ. საოჯახო მედიცინის ცენტრი
- შპს „მწვანე აფთიაქი“
- ფარმაცევტული კომპანია „პსპ“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმე“
- „ხიდი ინკლუზიური განათლებისკენ“

## ფაკულტეტზე არსებული საგანმანათლებლო პროგრამები

№	ერთსაფეხურიანი პროგრამები	
1.	<b>„მედიცინა + PBL“</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი MD	
პროგრამის ხანგრძლივობა	6 წელი	
აკრედიტაციის თარიღი:	№ 59, 15. 07. 2015	
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. ნანა შავლაყაძე	
სტუდენტთა ჩარიცხვა	2016-2017 ს/წ	2017-2018
	16/16	32/32
<p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b></p> <p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ზოგადი ხელშეწყობა;</li> <li>- მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური რესურსის პოტენციალის რაციონალური გამოყენება;</li> <li>- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი - სამედიცინო განათლებაში და კლინიკურ მედიცინაში მუშაობის ათწლიანი და მეტი მუშაობის გამოცდილება და ადამიანური რესურსების პირადი უნარები – შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისადმი მიდრეკილება და მოტივაცია</li> <li>- კურიკულუმში ბაზისური და კლინიკური საგნების ინტეგრირების მაღალი ხარისხი; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) დამატებითი ფორმატით.</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ კლინიკურ ბაზებთან</li> <li>- საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობა მათი საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე;</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ინტეგრირებული კურსების შესაბამის სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობა ქართულ ენაზე;</li> <li>- PBL-ზე დაფუძნებული სწავლების სუსტი გამოცდილება</li> <li>- საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე ლაბორატორიების ნაკლებობა;</li> <li>- პროგრამის განხორციელება უცხოელი სპეციალისტების/მოწვეული პერსონალის პროგრამაში ჩართულობის გარეშე;</li> <li>- ახალი/ პერმანენტულად განახლებადი ქეისების შემუშავებასთან დაკავშირებული სირთულეები;</li> </ul>		

	<p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- უნივერსიტეტის, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდის უზრუნველყოფა, რაც პროგრამის სრულყოფას შეუწყობას ხელს;</li> <li>- პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობა;</li> <li>- პროგრამის ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდა დისემინაციის გზით (დაგეგმილია ტემპუსისა და პარტნიორი უნივერსიტეტების ფარგლებშიც);</li> <li>- საქართველოში TEMPUS-ის 30519-TEMPUS-1-2012-1-UK-TEMPUS-JPCR „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients-ePBLnet“ გრანტის ფარგლებში დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე დაფუძნებული სამედიცინო განათლების ცენტრთან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობების შენარჩუნება: არსებულის სრულყოფისა და ახალი ქეისების შექმნის, ტუტორების მომზადება/გადამზადებისა და ახალ საგრანტო პროექტებზე ერთობლივი მუშაობის მიზნით.</li> <li>- საბაზო და კლინიკურ დეპარტამენტებზე, მედიცინის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით/კლინიკურ ლაბორატორიების სრულყოფაზე ზრუნვა, თანამედროვე აღჭურვილი შენობისა და აუდიტორიების მოწყობა,</li> <li>- გაცვლითი პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;</li> <li>- პროგრამის ადამიანური რესურსების (პედაგოგიური კადრების) განვითარების ხელშეწყობა;</li> <li>- დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება;</li> <li>- მისაღებ გამოცდებზე მინიმალური ზღვარის გაზრდა.</li> </ul> <p>საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა ტემპუსის პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში.</p> <p><b>პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება (PBL)</b>, როგორც ამ პროგრამაში განმასხვავებელი სწავლების ძირითადი მეთოდი სტუდენტს აჩვენებს კრიტიკულ აზროვნებას, ეხმარება განავითაროს უნარების ფართო სპექტრი. (ტემპუსის თანადაფინანსებითა და უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი თანხებით, გარემონტებული და თანამედროვე სასწავლო/სამეცნიერო ტექნოლოგიებით იქნა აღჭურვილი (ე.წ. ჭკვიანი დაფები/პროექტორები) დამოუკიდებელი ე. წ. PBL კორპუსი, რომლის საერთო ფართი არის 437 კვ.მ. იგი მოიცავს სპეციალიზირებულ პდს, სასწავლო და სალექციო ოთახებს. კორპუსში მუშაობს მაღალ სიჩქარიანი ინტერნეტი, რომელშიც online რეჟიმში ელექტრონული და დისტანციური ლექციების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.</p>		
2.	<p style="text-align: center;"><b>„სამკურნალო საქმე“</b></p> <table border="1" style="width: 100%;"> <tr> <td data-bbox="293 1347 573 1417">მისანიჭებელი კვალიფიკაცია</td> <td data-bbox="573 1347 1995 1417">დიპლომირებული მედიკოსი MD</td> </tr> </table>	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი MD
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული მედიკოსი MD		



პროგრამის ხანგრძლივობა	6 წელი					
აკრედიტაციის თარიღი:	№63; 23.09.2011					
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. თამარ ვალიშვილი					
სტუდენტთა ჩარიცხვა	2012	2013	2014	2015	2016	2017
	50/44	50/44	50/50	50/50	45/45	30/30
<p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b></p> <p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ინტეგრირებული კურიკულუმი, რაც გულისხმობს თეორიული (ბაზისური) და კლინიკური სასწავლო კურსების ერთდროულად მიმდინარეობას.</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება პედაგოგიური, სამეცნიერო-მეთოდური და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით/პუბლიკაციებით სამედიცინო პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით;</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ კლინიკურ ბაზებთან</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკუთარი კლინიკური ბაზის არ არსებობა</li> <li>- კლინიკური უნარების შეფასების დასახვეწი მეთოდები</li> <li>- უმეტესად უმაღლესი სამედიცინო განათლების არ მქონე პერსონალის (ბიოლოგიის დეპარტამენტის პერსონალი) მიერ პრეკლინიკური სასწავლო კურსების განხორციელება.</li> <li>- აკადემიური პერსონალი იშვიათად იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისებს;</li> </ul> <p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობა;</li> <li>- პდს მეთოდის დანერგვა პროგრამაში, რაც გაამდიდრებს გამოცდილებას ამ მიმართულებით.</li> <li>- მისაღებ გამოცდებზე მინიმალური ზღვარის გაზრდა.</li> </ul> <p>სამკურნალო საქმის საგანმანათლებლო პროგრამები ორიენტირებულია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტებზე, თუმცა, მათში გათვალისწინებულია ქართული სამედიცინო სკოლის მრავალწლიანი გამოცდილება. ბოლონის პროცესებში მონაწილე ქვეყნებისთვის დიპლომამდელი საფეხურის კომპეტენციები განსაზღვრულია თუნინგის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად. საბაზო სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციები განისაზღვრება ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს სტანდარტებისა და დარგობრივი მახასიათებლის საფუძველზე.</p>						



3.							<b>“MEDICINE” ინგლისურენოვანი</b>						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია		Medical Doctor, MD											
პროგრამის ხანგრძლივობა		6 წელი											
აკრედიტაციის თარიღი:		№347; 6.09.2012											
პროგრამის ხელ-ლი:		ასოც. პროფ. ირინე ფხაკაძე											
სტუდენტთა ჩარიცხვა		2012		2013		2014		2015		2016		2017	
		57		92		25		16		24		92	
<p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b></p> <p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ინტეგრირებული კურიკულუმი, რაც გულისხმობს თეორიული (ბაზისური) და კლინიკური სასწავლო კურსების ერთდროულად მიმდინარეობას.</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება პედაგოგიური, სამეცნიერო-მეთოდური და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით/პუბლიკაციებით სამედიცინო პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით;</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ კლინიკურ ბაზებთან</li> <li>- უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პერსონალის მიერ პრეკლინიკური სასწავლო კურსების განხორციელება, რაც განასხვავებს ქართულენოვანი სამკურნალო საქმის პროგრამისაგან.</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკუთარი კლინიკური ბაზის არ არსებობა</li> <li>- კლინიკური უნარების შეფასების დასახვეწი მეთოდები</li> <li>- აკადემიური პერსონალი იშვიათად იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისებს;</li> </ul> <p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პარტნიორ უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის შესაძლებლობა;</li> <li>- უცხოელი სტუდენტების მოზიდვა სხვა ახალი ქვეყნებიდან.</li> <li>- პდს მეთოდის დანერგვა პროგრამაში, რაც გაამდიდრებს გამოცდილებას ამ მიმართულებით.</li> </ul>													

	<p>- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;</p> <p>One-step Medical Education Program is carried out at Georgian State Medical University-www.tsmu.edu.ge, I. Javakhishvili State University-www.tsu.edu.ge; recommendations of TUNING/MEDICINE project and WORLD FEDERATION of MEDICAL EDUCATION (WFME) also national specifications were taken into consideration while designing the program. Accordingly practical realisation of the program should enable students'integration in the European Educational Space and satisfy the requirements of accreditation.</p> <p><b>Program aims at</b> preparing the specialist with medical academic degree, having sufficient knowledge of basic medical disciplines and general clinical skills needed for working at medical institutions, also using and preserving moral values and ethical principles in practice.</p> <p>პროგრამაზე სწავლობენ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან: ნიგერია, ერაყი, ინდოეთი, ლიბანი.</p>						
4.	<b>„სტომატოლოგია“</b>						
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი - Doctor of Dental Medicine						
პროგრამის ხანგრძლივობა	5 წელი, 300 კრედიტი						
აკრედიტაციის თარიღი:	№ 64; 23.09. 2011						
პროგრამის ხელი:	პროფ. თენგიზ ლობჯანიძე						
სტუდენტთა ჩარიცხვა	2012	2013	2014	2015	2016	2017	
	30/25	30/23	30/30	30/30	30/30	30/30	
<p>პროგრამის მიზანია კვალიფიცირებული, კონკურენტუნარიანი, კომპეტენტური სპეციალისტის - დიპლომირებული სტომატოლოგის მომზადება.</p> <p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b></p> <p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მაღალი აქტუალობა და მოთხოვნილება შრომის ბაზარზე,</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით,</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ კლინიკურ ბაზებთან</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საკუთარი მულაჟებითა და ფანტომებით აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორიის არარსებობა უშუალოდ უნივერსიტეტის ბაზაზე.</li> </ul>							

<ul style="list-style-type: none"> <li>- კლინიკური უნარების შეფასების დასახვეწი მეთოდები</li> <li>- აკადემიური პერსონალი იშვიათად იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისებს;</li> </ul> <p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;</li> <li>- სათანადოდ აღჭურვილი კლინიკური უნარების ლაბორატორიის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას სტომატოლოგიაში.</li> </ul>						
<b>საბაკალავრო პროგრამები</b>						
5.	<b>„ფარმაცია“</b>					
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის ბაკალავრი					
პროგრამის ხანგრძლივობა	4 წელი, 240 კრედიტი					
აკრედიტაციის თარიღი:	№65; 23.09.2011					
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. მიხეილ სამსონია					
სტუდენტთა ჩარიცხვა	2012 30/20	2013 30/19	2014 30/30	2015 30/30	2016 30/29	2017 30/22
<p>კურსდამთავრებულს ენიჭება – ფარმაციის ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი დამოუკიდებელი საქმიანობის უფლებით (კანონით დადგენილი წესით).</p> <p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b></p> <p><b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მაღალი აქტუალობა და მოთხოვნილება შრომის ბაზარზე,</li> <li>- ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების საფუძვლიანი შესწავლა და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამა;</li> <li>- მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური რესურსის პოტენციალის რაციონალური გამოყენება;</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და ენობრივი კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება გრიფით, პედაგოგიური და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის გამოცდილებით და პუბლიკაციებით სამედიცინო ან ფარმაცევტული პროფილის საერთაშორისო რეგენზირებად ჟურნალებში, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით; ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;</li> </ul>						

- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი - ფარმაცევტულ განათლებაში ოცწლიანი და მეტი მუშაობის გამოცდილება და ადამიანური რესურსების პირადი უნარები – შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისადმი მიდრეკილება და მოტივაცია
- მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ პრაქტიკის ბაზებთან
- ფარმაციის ბაკალავრ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;

**სუსტი მხარეები**

- თეორიული (პროფესიული) სასწავლო კურსების სწავლებისათვის, სათანადოდ აღჭურვილი ფართისა (აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და სხვა) აღჭურვილობის უკმარისობა,
- ლაბორატორიების მოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით დაბალი ხარისხი.
- საერთაშორისო პროექტებში ნაკლები ჩართულობა;

**განვითარების პერსპექტივები:**

- ფარმაციის დეპარტამენტზე, ფარმაციის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაზე ზრუნვა, ფარმაციის სპეციალობისათვის თანამედროვე აღჭურვილი აუდიტორიების მოწყობა,
- გაცვლითი პროგრამების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა;
- პროგრამის ადამიანური რესურსების (პედაგოგიური კადრების) განვითარების ხელშეწყობა.
- უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) აკადემიური პერსონალისათვის ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- დაფინანსების დამატებითი წყაროების მოძიება, სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება.

6.	<b>„ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“</b>	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი	
პროგრამის ხანგრძლივობა	4 წელი, 240 კრედიტი	
აკრედიტაციის თარიღი:	№ 30; 28.06. 2016	
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. თამარ ვალიშვილი	
სტუდენტთა ჩარიცხვა	2017 წელი	15/9
<p>პროგრამის მიზანია - მოამზადოს შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი, რომელსაც შესწავლილი ექნება: სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპები, ვადები, ჩვენებები და უკუჩვენებები; მოსალოდნელი გართულებები და რეაბილიტაციის თანამედროვე</p>		

სტრატეგიები, სამედიცინო რეაბილიტაციის ფორმები, მეთოდები და ცალკეული მეთოდები; ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების ძირითადი კანონზომიერებები; სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის უნარი.

**შეფასება და განვითარების პერსპექტივები:**

**ძლიერი მხარეები:**

- კლინიკური საგნების დიდი მოცულობითი წილი;
- პრაქტიკული კომპონენტის დიდი მოცულობითი წილი;
- არჩევითი საგნების დიდი მოცულობითი წილი;
- პროგრამის განვითარების სწორი დაგეგმვითა და პროცესის გამჭვირვალობით (სტუდენტებისა და აკადემიური შტატისთვის) საუნივერსიტეტო სივრცეში მისი „მიმღებლობა“ და დადებითი შეფასება.

**სუსტი მხარეები:**

- სპეციალური საგნების სწავლების გამოცდილების არარსებობა;
- საკუთარი საუნივერსიტეტო ბაზის (სარეაბილიტაციო ცენტრის ) არარსებობა

**განვითარების პერსპექტივები:**

- საკუთარ საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნაზე ზრუნვა
- თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა;
- პედაგოგიური კვალიფიციური კადრის გადამზადება

**სამაგისტრო პროგრამები**

7.

„ფარმაცია“

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის მაგისტრი						
პროგრამის ხანგრძლივობა	2 წელი, 120 კრედიტი						
აკრედიტაციის თარიღი:	№ 80; 19.04.2012						
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. მიხეილ სამსონია						
სტუდენტთა ჩარიცხვა	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
	7	11	10/6	10/6	10/6	10/6	10/10

**შეფასება და განვითარების პერსპექტივები:**

**ძლიერი მხარეები:**

- მაღალი აქტუალობა და მოთხოვნილება შრომის ბაზარზე,
- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით,
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ფარმაცევტულ ორგანიზაციებთან და კომპანიებთან.
- მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური რესურსის პოტენციალის რაციონალური გამოყენება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი

**სუსტი მხარეები:**

- ინტერნაციონალიზაციის დაბალი ხარისხი;
- უცხო ენის დაბალი კომპეტენცია

**განვითარების პერსპექტივები:**

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;
- ფარმაცოგნოზიის, ფარმ. ქიმიის, წამალთა ტექნოლოგიის, ფარმაცოლოგიის ლაბორატორიების სათანადოდ აღჭურვა

8.	<b>საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა</b>		
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი №31; 28.06. 2016	
	პროგრამის ხანგრძლივობა	2 წელი, 120 კრედიტი	
	აკრედიტაციის თარიღი:	№31; 28.06. 2016	
	პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. გულნარა შელია	
	სტუდენტთა ჩარიცხვა	2016	2017
		5/4	10/7
სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომლის პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდას მოსახლეობის სპეციფიურ ჯგუფებსა და/ან მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით. პროგრამა ფოკუსირებულია ჯანმრთელობაზე, როგორც სოციალურ და ეკონომიკურ კატეგორიაზე; ჯანმრთელობის გან-			

	<p>მსაზღვრელ დეტერმინანტებზე, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის და ადმინისტრირების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.</p> <p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b>  <b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მაღალი აქტუალობა და მოთხოვნილება შრომის ბაზარზე;</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით;</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ პრაქტიკის ბაზებთან</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- აღნიშნული მიმართულებით სწავლების ხანმოკლე ტრადიციები;</li> <li>- ინტერნაციონალიზაციის დაბალი ხარისხი;</li> <li>- აკადემიური პერსონალი იშვიათად იყენებს უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისებს;</li> </ul> <p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;</li> </ul>																		
9.	<p style="text-align: center;"><b>ბიოსამედიცინო ინჟინერია</b> (ერთობლივი აწსუ-თსსუ-სტუ)</p> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse;"> <tr> <td style="width: 20%;">მისანიჭებელი კვალიფიკაცია</td> <td colspan="2">კურსდამთვრებულს ენიჭება ერთობლივი ხარისხი - ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი</td> </tr> <tr> <td>პროგრამის ხანგრძლივობა</td> <td colspan="2">2 წელი, 120 კრედიტი</td> </tr> <tr> <td>აკრედიტაციის თარიღი:</td> <td colspan="2">№ 125; 29.08. 2016</td> </tr> <tr> <td>პროგრამის ხელ-ლი:</td> <td colspan="2">ასოც. პროფ. ირინე ფხაკაძე</td> </tr> <tr> <td rowspan="2">სტუდენტთა ჩარიცხვა</td> <td style="text-align: center;">2015</td> <td style="text-align: center;">2016</td> </tr> <tr> <td style="text-align: center;">5/4</td> <td style="text-align: center;">10 /6</td> </tr> </table>		მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კურსდამთვრებულს ენიჭება ერთობლივი ხარისხი - ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი		პროგრამის ხანგრძლივობა	2 წელი, 120 კრედიტი		აკრედიტაციის თარიღი:	№ 125; 29.08. 2016		პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ირინე ფხაკაძე		სტუდენტთა ჩარიცხვა	2015	2016	5/4	10 /6
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კურსდამთვრებულს ენიჭება ერთობლივი ხარისხი - ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი																		
პროგრამის ხანგრძლივობა	2 წელი, 120 კრედიტი																		
აკრედიტაციის თარიღი:	№ 125; 29.08. 2016																		
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ირინე ფხაკაძე																		
სტუდენტთა ჩარიცხვა	2015	2016																	
	5/4	10 /6																	
	<p><b>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</b>  <b>ძლიერი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების რეალიზაცია</li> <li>- სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და კომპეტენციის მქონე სპეციალისტებით,</li> </ul>																		



- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სათანადოდ აღჭურვილ კლინიკურ ბაზებთან

**სუსტი მხარეები:**

- არასაკმარისი კომუნიკაცია პარტნიორ უნივერსიტეტებთან

**განვითარების პერსპექტივები:**

- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;

**სადოქტორო პროგრამა**

10.

**„ფარმაცია“**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის დოქტორი	
პროგრამის ხანგრძლივობა	3 წელი, 180 კრედიტი	
აკრედიტაციის თარიღი:	№ 33; 28. 06. 2016	
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ნინო აბულაძე	
სტუდენტთა ჩარიცხვა	2016	2017
	3/3	3/2

პროგრამის მიზანია: მაღალკვალიფიციური ფარმაცევტ-მკვლევარის ფორმირება, რომელსაც შესაბამისად ექნება ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა და შესაბამისი კომპეტენციები ფარმაციის დარგის ქვემომართულებებში. „ფარმაციის“ სადოქტორო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი პოსტულატია მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე, თანამედროვე აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვა.

პროგრამის განხორციელება ითვალისწინებს მასში მონაწილე ყველა მხარის, ასევე დამსაქმებელთა, პოტენციურ ინტერესებს.

დასახული მიზანი მიიღწევა დასმული ამოცანის შესახებ არსებული უახლესი მეცნიერული ინფორმაციისა და კვლევის მეთოდის ათვისებით, დამოუკიდებელი კვლევისათვის შესაბამისი მეთოდის შერჩევითა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით კვლევის განხორციელებით, რომლის შედეგი აისახება პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებასა და შესაბამისი ღირებულებების ფორმირებაში, აგრეთვე რეფერირებადი ჟურნალებისათვის სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადებაში.

სადოქტორო პროგრამა საშუალებას გვაძლევს წარმატებით გადავჭრათ სწავლების მესამე საფეხურის ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში გადასაწყვეტი კონკრეტული ამოცანები.

**შეფასება და განვითარების პერსპექტივები:**

**ძლიერი მხარეები:**

	<ul style="list-style-type: none"> <li>- პროგრამის შესაბამისობა ანალოგიურ პროგრამებთან, ასევე მისი სტრუქტურა და ქვემიმართულებათა მრავალფეროვნება;</li> <li>- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი - ფარმაცევტულ განათლებაში ოცწლიანი და მეტი მუშაობის გამოცდილება და ადამიანური რესურსების პირადი უნარები – შემოქმედებითობა, ცნობისმოყვარეობა, თვითდისციპლინიანობა და მოტივაცია</li> <li>- ურთიერთთანამშრომლობა ი. ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან.</li> <li>-</li> </ul> <p><b>სუსტი მხარეები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დოქტორანტურის საფეხურის შესაბამისი ქართულენოვანი ლიტერატურის ნაკლებობა,</li> <li>- თეორიული (პროფესიული) სასწავლო კურსების სწავლებისათვის, სამეცნიერო კვლევისათვის სათანადოდ აღჭურვილი ფართისა (აუდიტორიების, ლაბორატორიებისა და სხვა) აღჭურვილობის უკმარისობა,</li> <li>- დღევანდელ მოთხოვნებთან შესაბამისობაში დარგობრივი კვლევის ჩატარების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შედარებით დაბალი ხარისხი.</li> </ul> <p><b>განვითარების პერსპექტივები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა;</li> <li>- ფარმაციის დეპარტამენტზე, ფარმაციის სასწავლო და სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაზე ზრუნვა,</li> <li>- შიდა და გარე კავშირების გაძლიერება სამეცნიერო და კვლევითი პროცესის თანამშრომლობის შესახებ ახალი მემორანდუმების გაფორმება,</li> <li>- გაცვლითი პროგრამების ხელმისაწვდომობა და ზრუნვა დოქტორანტის დაფინანსების წყაროების მოძებნისათვის,</li> <li>- პროგრამის ადამიანური რესურსების (პედაგოგიური კადრების) განვითარება.</li> <li>- დაფინანსების დამატებითი წყაროების მოზიდვის შესაძლებლობა და სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება.</li> </ul>
--	---

## ადამიანური რესურსები

მედიცინის ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ემსახურება:

- 2 ემერიტუსი;
- 8 პროფესორი;
- 15 ასოცირებული პროფესორი;
- 9 ასისტენტ პროფესორი;
- 82 მოწვეული სპეციალისტი;

## 7. მატერიალური რესურსები

1. აწსუ მე-11 სასწავლო კორპუსის სასწავლო აუდიტორიები;
2. აწსუ მე-10 ე. წ. „PBL“ კორპუსის სასწავლო აუდიტორიები;
3. კლინიკური უნარების ლაბორატორია;
4. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი;
5. ბიოლოგიისა და ქიმიის დეპარტამენტების კაბინეტ - ლაბორატორიები;
6. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები;
7. საუნივერსიტეტო კლინიკები
8. სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ სასწავლო ცენტრი

	<u>საგანმანათლებლო პროგრამები</u>	<u>ლაბორატორიები</u>	<u>სასწავლო მასალები:</u>	<u>პარტნიორი დაწესებულებები</u>
<b>საბაკალავრო პროგრამები</b>				
1.	<b>ფარმაცია</b>	<u><b>აწსუ 5 კორპუსი</b></u> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ანალიზური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ბიოქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ჰისტოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკის ლაბორატორია;</li> <li>❖ მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;</li> </ul>	<u><b>არსებული</b></u> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ქიმიური ნივთიერებები;</li> <li>❖ ფარმაკოლოგიურად აქტიური სუბსტანციები;</li> <li>❖ სოლუბილიზატორები;</li> <li>❖ სტაბილიზატორები;</li> <li>❖ კონსერვანტები;</li> <li>❖ მცენარეული ნედლეული;</li> <li>❖ ჰისტოლოგიური ანათომები;</li> <li>❖ ექსტრაქტები;</li> <li>❖ მედიკამენტები;</li> <li>❖ ორგანოპრეპარატები და ა.შ.</li> <li>❖ სპექტროფოტომეტრი</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>შესაძენი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ სამედ. სამკურნ. ცენტრი „გერგელი“</li> <li>❖ ი/მ ზაალ ლომსიანიძე „მწვანე აფთიაქი“</li> <li>❖ შ.პ.ს „21 საუკუნე“</li> <li>❖ ზ. ცხაკაიას ინტერვენციული მედიცინის ცენტრი</li> <li>❖ ფარმაცევტული კომპანია “PSP”–ს სააფთიაქო ქსელი</li> <li>❖ ფარმაცევტული საწარმო “GMP“</li> <li>❖ შ.პ.ს „ქუთაისის ნაზარაშვილის საოჯახო მედიცინის ცენტრი“</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>❖ მაკროანატომიის ლაბორატორია;</li> <li>❖ სამედიცინო ბიოლოგიის ლაბორატორია</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>აწსუ 11 კორპუსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია.</li> <li>❖ კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია</li> <li>❖ ფარმაკოგნოზიის ლაბორატორია (შესაქმნელი)</li> <li>❖ ტოქსიკოლოგიური ქიმიის ლაბორატორია (შესაქმნელი)</li> <li>❖ ვირტუალური აფთიაქი (ფარმაციის ორგანიზაცია, სოციალური ფარმაცია, შესაქმნელი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ წყლის სახდელი АДЭа-4 «СЗМО»</li> <li>❖ I ქართული ფარმაკოპეა,</li> <li>❖ რეფრაქტომეტრი ИРФ-454 Б2М,</li> <li>❖ ლაბ. სკამები ასისტენტის სკამების (15)</li> <li>❖ ცენტრიფუგა ლაბორატორიული 6000 ბრ/წთ</li> <li>❖ სატაბლეტო მანქანა/წნეხი VEB Elektromotoren-Werke ან სატაბლეტე წნეხი Korsch</li> </ul>	
2.	<b>ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია</b>	<p style="text-align: center;"><b>აწსუ 11 კორპუსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ მასაჟის შესწავლის სასწავლო ოთახი;</li> <li>❖ კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია;</li> </ul>	<b>შესაძენი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ „აღდგენითი მკურნალობის ცენტრი“;</li> <li>❖ „შპს „ედელვაისი“;</li> <li>❖ „შპს მოზრდილთა და ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრი“</li> </ul>
<b>ერთსაფეხურიანი პროგრამები</b>				

3.	სტომატოლოგია	<p><b>აწსუ 5 კორპუსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ანალიზური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ბიოქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ჰისტოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკის ლაბორატორია;</li> <li>❖ მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;</li> <li>❖ მაკროანატომიის ლაბორატორია;</li> <li>❖ სამედიცინო ბიოლოგიის ლაბორატორია</li> </ul> <p><b>აწსუ 11 კორპუსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია</li> </ul>	<p><b>შესაძენი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ფანტომები</li> <li>❖ ენდობლოკები</li> <li>❖ გუდაკატი</li> <li>❖ შტანგეფარგალი</li> <li>❖ აპექსლოკატორი</li> <li>❖ ელექტროდონტომეტრი</li> <li>❖ პაროდონტალური ზონდების ნაკრები</li> <li>❖ შტრიფსები, ფაილები, K,H რიმერი, პროფაილი</li> <li>❖ პროტაიპერები</li> <li>❖ ულტრასტომი</li> <li>❖ ბუნიკი ტურბინული</li> <li>❖ ბუნიკი მიკრომოტორის</li> <li>❖ ენდოდონტიური სახაზავი</li> <li>❖ ენდოდონტიური ბუნიკი</li> <li>❖ ენდოდონტიური ნემსები</li> <li>❖ ოპტრადამი, პერფორატორი</li> <li>❖ კრონფარგალი</li> <li>❖ მულაჟთან სამუშაო დანადგარი</li> <li>❖ კომპოზიციური ბჟენები</li> <li>❖ კარპულის მეტალის ინექტორი</li> <li>❖ ჰელიონათურა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შ.პ.ს სტომატ.პოლიკ.,„დენტიმერი“</li> <li>❖ შ.პ.ს „რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი“</li> <li>❖ შ.პ.ს სტომატოლოგიური კლინიკა „პრიმადენტი“</li> </ul>
4.	<p>- სამკურნალო საქმე</p> <p>- მედიცინა +PBL</p> <p>- MEDICINE ინგლისურენოვანი</p>	<p><b>აწსუ 5 კორპუსი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ზოგადი და არაორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ანალიზური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ორგანული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ბიოქიმიის ლაბორატორია;</li> </ul>	<p><b>არსებული</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ მოზრდილი ავადმყოფის მოვლის მანეკენი</li> <li>❖ ინტრავენური ინიექციის მკლავი (მულაჟი)</li> <li>❖ მრავალფუნქციური ვენური პუნქციის ტრენინგების მკლავი (მულაჟი)</li> <li>❖ კუნთშიდა ინიექციის თემო (მულაჟი)</li> <li>❖ ქირურგიული ნაკერის მკლავი მულაჟი</li> <li>❖ წნევის გაზომვის სიმულატორი</li> <li>❖ ბაზისური მულაჟი სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ინტერვენციული მედიცინის ცენტრი- ევექსი</li> <li>❖ რეგიონული კლინიკური საავადმყოფო - ევექსი</li> <li>❖ წმ. ნიკოლოზის კლინიკა- ევექსი</li> <li>❖ შ.პ.ს.„ზომონდი“</li> <li>❖ ქუთაისის №3 სამშობიარო სახლი</li> <li>❖ შ.პ.ს „21 საუკუნე“</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ჰისტოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკის ლაბორატორია;</li> <li>❖ მიკრობიოლოგიის ლაბორატორია;</li> <li>❖ მაკროანატომიის ლაბორატორია;</li> <li>❖ სამედიცინო ბიოლოგიის ლაბორატორია</li> </ul> <p><b><u>აწსუ 11 კორპუსი</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია</li> </ul>	<p style="text-align: center;"><b><u>შესაძენი</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ვენეპუნქციის პადი მულაჟი</li> <li>❖ ვენური იმიტატორი პადი</li> <li>❖ კანქვეშა, კანშიდა და კუნთშიდა ინიექციის პადი (მულაჟი)</li> <li>❖ მამაკაცის შარდის ბუშტის კათეტერიზაციის მულაჟი</li> <li>❖ ქალის შარდის ბუშტის კათეტერიზაციის მულაჟი</li> <li>❖ ტრავმის მოზრდილი პაციენტის მანეკენი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შ.პ.ს., რეგიონალური სისხლის ბანკი“</li> <li>❖ შ.პ.ს“ ცაგარეიშვილის სამედიცინო ცენტრი“</li> <li>❖ შ.პ.ს.“ქუთაისის ფსიქიკური ჯამრთელობის ცენტრი“</li> <li>❖ შ.პ.ს „ ქუთაისის ნაზარაშვილის საოჯახო მედიცინის ცენტრი“</li> <li>❖ ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა</li> <li>❖ სამედ.სამკურნ.ცენტრი „გერგილი+“</li> <li>❖ შ.პ.ს.ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო“</li> <li>❖ შ.პ.ს.“მორფოლოგი“</li> <li>❖ შ.პ.ს.“ ხონელიძის კლინიკა“</li> </ul>
<b>სამაგისტრო პროგრამები</b>				
5.	საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა	<p style="text-align: center;"><b><u>აწსუ</u></b> <b><u>სასწავლო მე-11</u></b> <b><u>კორპუსის</u></b> <b><u>მატერიალური რესურსი</u></b></p>		<ul style="list-style-type: none"> <li>- სსიპლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველო.</li> </ul>
6.	ფარმაცია	<p style="text-align: center;"><b><u>აწსუ 11 კორპუსი</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ტოქსიკოლოგიური ქიმიის ლაბორატორია (შესაქმნელი)</li> </ul>	<p style="text-align: center;"><b><u>არსებული</u></b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ქიმიური ნივთიერებები;</li> <li>❖ ფარმაცოლოგიურად აქტიური სუბსტანციები;</li> <li>❖ სოლუბილიზატორები;</li> <li>❖ სტაბილიზატორები;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ზ. ცხაკაიას ინტერვენციული მედიცინის ცენტრი</li> <li>❖ ფარმაცევტული კომპანია “PSP“-ს სააფთიაქო ქსელი</li> <li>❖ ფარმაცევტული საწარმო “GMP“</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ფარმაკოგნოზის ლაბორატორია (შესაქმნელი)</li> <li>❖ ვირტუალური აფთიაქი (ფარმაციის ორგანიზაცია, სოციალური ფარმაცია, შესაქმნელი)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ კონსერვანტები;</li> <li>❖ მცენარეული ნედლეული;</li> <li>❖ ჰისტოლოგიური ანათომები;</li> <li>❖ ექსტრაქტები;</li> <li>❖ მედიკამენტები;</li> <li>❖ ორგანოპრეპარატები და ა.შ.</li> <li>❖ სპექტროფოტომეტრი</li> <li>❖ ციფრული სასწორი (ანალიზური),</li> <li>❖ ციფრული როტაციული ვისკოზიმეტრი,</li> <li>❖ სოქსლეტის აპარატი,</li> <li>❖ წვრილი აპარატურა: საფასოო კოვზი, მაგნიტური სარეველა, შტატივები სხვადასხვა და ა.შ.</li> <li>❖ <u>აფთიაქის საწარმოო ოთახის კომპლექტი</u> და ექსტემპორალურ წარმოებასთან დაკავშირებული <u>ხელსაწყოები</u>: მაგიდა 5 სექციით, ტუმბები, ტრიალები, სხვადასხვა ზომის შტანგლასები, ბიურეტული სისტემა, სასწორები, აბების მანქანა, როდინები სხვადასხვა ზომის, კარადები სუნიანი და მღებავი სამკურნალო ნივთიერებებისა და შხამებისათვის, ექსიკატორი, საინფუნდირო აპარატი, სხვადასხვა გამზომი ჭურჭელი, წვრილსაწონები და სხვ.</li> <li>❖ მიკროსკოპები,</li> <li>❖ ლაბორატორიული ელექტროქურა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შ.პ.ს „ ქუთაისის ნაზარაშვილის საოჯახო მედიცინის ცენტრი“</li> <li>❖ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>გასაფორმებელი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ი. ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი</li> </ul>
7.	ბიოსამედიცინო ინჟინერია	აწსუ სასწავლო მე-11 კორპუსის მატერიალური რესურსი		თსსუ -სტუ



სადოქტორო პროგრამები				
8.	<b>ფარმაცია</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ ფარმაცევტული ქიმიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია;</li> <li>❖ ტოქსიკოლოგიური ქიმიის ლაბორატორია (შესაქმნელი)</li> </ul>	<p style="text-align: center;"><b>არსებული</b></p> <p><b>წამლის სააფთიაქო ტექნოლოგიის ლაბორატორია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ საასისტენტო მაგიდა</li> <li>❖ 6 სექციით,</li> <li>❖ სააფთიაქო ტუმბები 3,</li> <li>❖ ტრიალა მაგიდის 2.</li> <li>❖ ტრიალა იატაკის - 2</li> <li>❖ კარადა ქირურგ. -1.</li> <li>❖ შტანგლასები</li> <li>❖ ბიურეტული დანადგარი 16 მკვებავი ჭურჭლით</li> <li>❖ საკლასო დაფა კედლის (შავი)</li> <li>❖ საკლასო დაფა კედლის (თეთრი)</li> <li>❖ სასწორები ხელის 5</li> <li>❖ ბიქსი,</li> <li>❖ აბების მანქანა,</li> <li>❖ როდინები სხვადასხვა ზომის 6,</li> <li>❖ კარადა კედლის სუნიანი და მღებავი სამკურნალო ნივთიერებებისათვის შხამების კარადა კედლის,</li> <li>❖ ექსიკატორი,</li> <li>❖ საინფუნდირო აპარატი,</li> <li>❖ გამზომი ჭურჭელი (კოლბები, ცილინდრები, ქიმიური ჭიქები, პიპეტები და სხვ.)</li> <li>❖ პიკნომეტრები;</li> <li>❖ სპირტომეტრი,</li> <li>❖ არეომეტრი 2,</li> <li>❖ მორის სასწორი,</li> <li>❖ წვრილსაწონების კომპლექტები 4,</li> <li>❖ საფასო კოფი,</li> <li>❖ წყლის აბაზანა,</li> <li>❖ და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონული მართვის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>გასაფორმებელი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ი.ქუთათელაძის ფარმაცოქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი</li> <li>❖ სამეცნიერო კვლევითი ფირმა „გამაკონსალტინგი“ თბილისი. საკონტაქტო პირი ვ. გვახარია v.gvakharia@gamma.gegammacons alting LTD gamma.ge/geo ( ხელშეკრულება გასაფორმებელი)</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>❖ წამლის მოქმედი და დამხმარე ნივთიერებები,</li> <li>❖ რეაქტივები და ინდიკატორები,</li> <li>❖ ფარმაციაში გამოყენებული მასალები,</li> <li>❖ ლაბორატორიული ელექტროქურა,</li> <li>❖ ლიტერატურა</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>შესაძენი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ წყლის სახდელი АДХа-4 «СЗМО»</li> <li>❖ I ქართული ფარმაკოპეა,</li> <li>❖ რეფრაქტომეტრი ИРФ-454 Б2М,</li> <li>❖ ლაბ. სკამები ასისტენტის სკამების (15)</li> <li>❖ ელექტროსასწორი სააფთიაქო 0,01 სიზუსტით - 4 ც.</li> <li>❖ ბოქსი ლაბორატორიული ТП-81 Лабтех</li> </ul> <p style="text-align: center;"><b>წამლის სამრეწველო ტექნოლოგიის ლაბორატორია არსებული</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ვისკოზიმეტრი ციფრული როტაციული</li> <li>❖ სოქსლეტის აპარატი</li> <li>❖ მაგნიტური სარეველა</li> <li>❖ შტატივი</li> <li>❖ კარადა რეაქტივების</li> <li>❖ 2 კარადა წამლის</li> <li>❖ პროექტორი</li> <li>❖ პერსონალური კომპიუტერი</li> <li>❖ გამყოფი ძაბრი - 2</li> <li>❖ უკუმაცივარი - 1</li> <li>❖ გამწოვი კარადა</li> <li>❖ სპექტროფოტომეტრი</li> <li>❖ ციფრული ანალიზური სასწორი</li> </ul>	
--	--	--	---	--

			<p style="text-align: center;"><b>შესაძენი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>❖ ცენტრიფუგა ლაბორატორიული 6000 ბრ/წთ</li> <li>❖ სატაბლეტო მანქანა/წნეხი VEB Elektromotoren-Werke</li> <li>❖ ან სატაბლეტო წნეხი Korsch</li> <li>❖ Smart Board Front Projektion მოდელი SB 660</li> <li>❖ ლაბორატორიული სკამები 15 ცალი</li> <li>❖ ლაბორატორიული თერმომეტრიТЛ-4, №3</li> <li>❖ წყლის მიმყვანი ტექნოლოგიური მოწყობილობა</li> <li>❖ წამლის ფორმების დაშლადობის ლაბორატორიული იდენტიფიკატორი НФР</li> <li>❖ სუპოზიტორიების ტესტერი ST 30 ERWEKA</li> <li>❖ მექანიზმი AR402 3- დაბოლოებით (насадками): „вибросито“ VT с PS/S; ჰომოგენიზატორი და სველი გრანულატორი ННО; FGS. ERWEKA</li> <li>❖ ტაბლეტების ცვეთადობის განსაზღვრის ხელსაწყო НФИ</li> <li>❖ ტესტერი TAR 220 ERWEKA/ან ტაბლეტების ცვეთადობის ტესტერი НПК HATA</li> <li>❖ ფხვნილებისა და გრანულების ფხვიერების განსაზღვრის ტესტერი SVM 101 ERWEKA</li> <li>❖ ვაკუუმ ტუმბო ლაბორატორიული KNF ტიპი N 86KT.18</li> <li>❖ ან ვაკუუმ ტუმბო როტაციული LAVAT ტიპი VR1,5/12</li> <li>❖</li> </ul>	
--	--	--	---	--

## 8. განვითარების მიზნები

### 8.1. ფაკულტეტის ხედვა

2024 წლისათვის მედიცინის ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ მოწინავე ცნობად ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ და დინამიურ განვითარებას, იმავდროულად სთავაზობს ასობით ქართველ და უცხოელ სტუდენტებს მრავალფეროვან სტუდენტურ სერვისებს და უქმნის მათ ხელშემწყობ გარემოს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის. ფაკულტეტი აქტიურად არის ჩაბმული რეგიონისა და ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობ პროცესებში.

### 8.2. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

#### ამოცანები:

- 1.1. საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება; ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;
  - 1.2. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება;
  - 1.3. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა;
  - 1.4. ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ განვითარება და პოპულარიზაცია, სტუდენტების მოზიდვის მიზნით.
  - 1.5. უწყვეტი სამედიცინო განათლების ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება.
  - 1.6. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაში.
  - 1.7. საკუთარი აკადემიური გამოცდილების რეალიზება სამეცნიერო კვლევებში
  - 1.8. დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად საგრანტო პროექტების შემუშავება
  - 1.9. საგანმანათლებლო პროგრამებზე მაღალი რეიტინგის მქონე კონტიგენტის მოზიდვა
  - 1.10. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა:
    - პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმები;
    - სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი;
    - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები;
    - სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა.
9. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

- ✓ უცხო ენ(ებ)ის კურსების ორგანიზება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის;
- ✓ უცხოელი სტუდენტების ჩართვა ქართველი სტუდენტების ინგლისურ ენაში მოსამზადებელი კურსების ორგანიზებაში, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას;
- ✓ გაზრდილია უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობა;
- ✓ უცხოელი სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზება;
- ✓ მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სამიზნე ქვეყნების გაფართოება; აქტიური მონაწილეობა განათლების გამოფენებში;
- ✓ უცხოელ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა, კომუნიკაციის შენარჩუნებისა და მათი გამოიყენების მიზნით ახალი სტუდენტების რეკრუტირებისათვის;
- ✓ PR კამპანიის გააქტიურება ინგლისურენოვანი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაშუქებლად;
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდზე ამომწურავი ინფორმაციის განთავსება უნივერსიტეტის, მედიცინის ფაკულტეტის, ინგლისურენოვანი პროგრამისა და ზოგადად, ქუთაისის ისტორიული წარსულისა და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ;
- ✓ მედიცინის პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება.

მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტების ჩარიცხვის დინამიკა, 2006 -2017

